საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ადეიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	15	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	83	100

სახელი, გვარი: თეა ლეონიძე

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ირაკლი ადეიშვილის

შეფასების დასაბუთება

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1, 36^3, 36^4 მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე განვახორციელე კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის მახასიათებლების გათვალისწინებით. ჩემი შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებულ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ზოგადი ინფორმაცია კანდიდატზე: ირაკლი ადეიშვილი - დაბადებული 1974 წლის 9 ოქტომბერს, უმაღლესი იურიდიული განათლებით, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ), აქვს სპეციალობით მუშაობის 21 წლიანი გამოცდილება, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება 10 წელი და 4 თვე.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად ვიღებ ერთ-ერთ დასკვნას:

ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება პირის - როგორც მოსამართლისა და მოქალაქის - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ კანდიდატ ირაკლი ადეიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული რამოდენიმე საგზაო მოძრაობის წესის

დარღვევისათვის, ყველა ჯარიმა გადახდილია დროულად. ირაკლი ადეიშვილის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას და კეთილსინდისიერებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ კანდიდატი ირაკლი ადეიშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი,

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

მონაცემების მიხედვით კანდიდატი ირაკლი ადეიშვილი მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა სამოქალაქო საქმეზე N27921-15. 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი. მისი გარეგნული იერსახე, ქცევა სრულად შეესაბამება მოსამართლის მაღალ თანამდებობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი ხარისხი და სხვა.

რეკომენდატორები გამოარჩევენ ირაკლი ადეიშვილის შრომისმოყვარეობას და პრინციპულობას, ასევე მიუთითებენ პროფესიულ კომპეტენტურობაზე, რაც მეტყველებს

კანდიდატის დადებით რეპუტაციაზე კოლეგებთან. კანდიდატი ირაკლი ადეიშვილი ატარებდა ტრენინგებს საქართველო იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სამოსამართლო ეთიკასა და დისკრიმინაციის აკრძალვის სამართალში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

5. ფინანსური ვალდებულება:

ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატ ირაკლი ადეიშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, არ აქვს მიმდინარე სესხი. საკუთრებაში აქვს ბინა თბილისში და მსუბუქი ავტომანქანა. კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ კანდიდატი ირაკლი ადეიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 20 ქულა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20 ქულა;

გ) წერის უნარი - 20 ქულა;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;

ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;

ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;

ზ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1.სამართლის ნორმების ცოდნა:

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ამ მახასიათებლით მოსამართლის შეფასების მიზნით შემფასებელი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორეს. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლის შესაფასებლად შემფასებელი აგრეთვე გამოითხოვს მოსამართლის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ კანდიდატ ირაკლი ადეიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, ფლობს სამართლის ნორმებს. კანდიდატის მიერ წარმოდგენილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე 2/ბ-671-13. გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად გამოირკვა, რომ გადაწყვეტილება სტილისტურად აგებულია გასაგებად, ჩანს კანდიდატის ცოდნა მატერიალური და საპროცესო ნორმებისა.

სამართლის ნორმების ცოდნის შეფასებისას ასევე გამოვყოფდი მის პრაქტიკულ გამოცდილებას; კერძოდ იგი მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ჯერ საქალაქო და შემდეგ სააპელაციო სასამართლოში. გასაუბრების მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ კანდიდატი შედარებით ნაკლებად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ირაკლი ადეიშვილის სამართლის ნორმების ცოდნას ვაფასებ 17 ქულით.

2. **სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:**

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატს გააჩნია საკმაოდ მრავალფეროვანი პროფესიული გამოცდილება, მისი გადაწყვეტილება გამოირჩევა დასაბუთებულობით. მიმაჩნია, რომ კანდიდატის გასაუბრების მიმდინარეობისას მის მიერ გაცემული პასუხები იყო დამაჯერებელი. კანდიდატი არგუმენტირებულად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა პასუხი მეტად ყოფილიყო დასაბუთებული საკანონმდებლო სიახლეების გათვალისწინებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ირაკლი ადეიშვილს სამართლებრივი დასაბუთების უნარს და კომპეტენციას ვაფასებ 17 ქულით.

3. **წერის უნარი:**

წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ, ვასკვნი, რომ ძირითადად აზრს ნათლად გადმოსცემს, სასვენი ნიშნები ძირითადად გამოყენებულია სწორად. გადაწყვეტილება სტრუქტურულად აგებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ირაკლი ადეიშვილს წერის უნარს ვაფასებ 15 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი:

ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას მხედველობაში მივიღე კანდიდატის გასაუბრება, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი აზრს გადმოსცემდა გასაგებად. კანდიდატს შესწევს უნარი მოისმინოს სხვისი აზრი და დაიცვას საკუთარი პოზიცია.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ირაკლი ადეიშვილი ზეპირი კომუნიკაციის უნარს ვაფასებ 15 ქულით.

5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში:

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

რეკომენდატორები გამოთქვამენ პოზიციას კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე, გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, კეთილსინდისიერებას და კომპეტენციას, საპროცესო ვადების დაცვასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მოიპოვება.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ირაკლი ადეიშვილს პროფესიულ თვისებებს, მათ შორის, ქცევას სასამართლო დარბაზში ვაფასებ 13 ქულით.

6.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატ ირაკლი ადეიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული სასწავლო ტრენინგში მედიაციაში. შეძენილ ცოდნასა და უნარს იყენებს პრაქტიკაში, კერძოდ უძღვება სალექციო კურსს ,,სამეწარმეო სამართლის აქტუალურ საკითხებში". არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ირაკლი ადეიშვილს აკადემიურ მიღწევებს და პროფესიულ წვრთნას ვაფასებ 3 ქულით.

7. **პროფესიული აქტივობა:**

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი ირაკლი ადეიშვილი უძღვება სალექციო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კურსს, არის ავტორი სამართლებრივი პუბლიკაციებისა ,,ქალთა უფლებების დაცვის ტენდენციები ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის პრაქტიკაში"; ,,ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი პრეცენდენტული სამართლის ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში".

2006-2007 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, იყო Ad hoc მოსამართლე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ირაკლი ადეიშვილი პროფესიულ აქტივობას ვაფასებ 3 ქულით.

კანდიდატის საბოლოო შეფასება:

კანდიდატ ირაკლი ადეიშვილს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 83 ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი თეა ლეონიძე

თარიღი: 28.05.2021